# 1 ნოემბერი

**ყველაწმიდას დიდდღესასწაული, [ს], თ**

## 2023 ოთხშაბათი

გამოცხ 7,2-4.9-14; ფს 23; 1იო 3,1-3; მთ 5,1-12

ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი,
რადგან ისინი ღვთის ძეებად
იწოდებიან მთ 5,9

გავატაროთ დღევანდელი დღე ყველა ზეციერ წმინდანთან ერთად. მათი წმიდა შურით გვშურს და ვცდილობთ მივბაძოთ მათ რწმენასა და სიქველეში. მათი ქრისტესმიერი სიყვარული სხვადასხვა ფორმით სძენდა მშვიდობას დედამიწას და ჩვენ დღეს, მათი საქმეებით და მათი გარჯის ნაყოფით ვილხენთ.

# 2 ნოემბერი

2023

მოხსენიება ყველა მორწმუნე
მიცვალებულისა, [ს], ი

## ხუთშაბათი

წირვა 1: იობ 19,1.23-27; ფს 26; რომ 5,5-11; იო 6,37-40

წირვა 2: ეს 25,6.7-9; ფს 24; რომ 8,14-23; მთ 25,31-46

წირვა 3: სიბრძ 3,1-9; ფს 41; გამოცხ 21,1-5.6-7; მთ 5,1-12

ყველას, ვინც მეს იხილავს და ირწმუნე-
ბს, სათუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს იო 6,40

მუდამ იესოზე გვქონდეს მზერა მიპყრო-
ბილი, რათა განმტიცდეს ჩვენში მისი
რწმენა. გავიზიაროთ ჩვენი ახლობლე-
ბის ზრახვანი, რომლებმაც ვიწრო კა-
რით გაიარეს ამქვეყნიდან  და ვთხოვთ
მამას, რომ მიიღონ ისინი მათი სისუსტე-
ების მიუხედავად. ჩვენ მივუტევებთ მათ
და ისიც მიუტევებს, იმ სიხარულით აღა-
ვსებს, რომელიც იესომ აღუთქვა მას,
ვინც ზეცაში შეუერთდებოდა.

# 3 ნოემბერი

2023

საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილ კათოლიკე სასულიერო პირთა მოხსენიების დღე (მ), ი / *წმ. მარტინ პორესელი, ბერი, +1639*

## პარასკევი

ფილიპ 3,3-8; ფს 104; ლკ 15,1-10

(ან, მიცვალებულთა წირვის საკითხავები)

**მ. სერაფიმ მერაბიშვილის (+1940), მ. შიო ბათმანიშვილის (+1937), მ. ლაზარე გოზალიშვილის (+1937?), მ. სტანისლავ კაჭკაჭაშვილისა (+1937) და მ. კონსტანტინე შეშაბერიძის გახსენება**

შეეხო მას, განკურნა და გაუშვა ლკ 14,4

**იესო თანალმობით უყურებს ავადმყოფს. განა მამას არ სურს სიცოცხლის სისრულე უბოძოს მას? განა არ სურს, რომ ისიც ხარობდეს მისი სიტყვით? ამიტომაც უყვარს იესოს მისი მოქიშპეებიც კი, მისი თავგანწირვის და შინაგანი თავისუფლების მოშურნენი, მის დაღუპვას რომ გადაწყვეტენ. მადლობა, იესო.**

# 4 ნოემბერი

2023

რიგითი XXX კვირა [II]
წმ. კარლო ბორომეო, ეპ., +1584, (მ), თ

## შაბათი

რომ 11,1-2.11-12.25-29; ფს 93; ლკ 14,1.7-11

არ იცვლება ღვთის ნიჭები
და მოწოდება რომ 11,29

წმინდა პავლე მძიმედ განიცდის, რომ მისი ხალხის უმეტესობა უარყოფს იესოს, არ აღიარებს ღვთის ძედ. მამა ერთგულია, რამეთუ სიყვარულია; ერთგულია თავისი ძველი ერის - ებრაელების. ერთ დღესაც იგი მათში ისევე აღძრავს იესოს რწმენას, როგორც ჩვენ გვწამს ქრისტიანებს, მის ახალ ერს. ჩვენი ურთიერთსიყვარულით და იესოში ჩვენი ერთიანობით დავეხმარებით მათ.

# 5 ნოემბერი

**რიგითი XXXI კვირადღე, «ა», [III], მწ**

## 2023 კვირა

მალ 1,14 2,2.8-10; ფს 130; 1თეს 2,7-9.13; მთ 23,1-12

ფუდიდესი თქვენ შორის
თქვენი მსახური იყოს მთ 23,11

დიდია ის, ვინც სხვაზეა პასუხისმგებელი. დიდები ვართ, როცა პასუხისმგებლები ვართ ერთმანეთზე. სხვისი მსახურე-ბა სიყვარულის „ბუნებრივი“ კანონია. როცა ვინმე გიყვარს, ქედს იხრი  და გინდა დაეხმარო, ემსახურო. ასე მოიქცა თავად უფალი. მეც მინდა სიდიადეში ვემსგავსო იესოს!

# 6 ნოემბერი



## 2023 ორშაბათი

რომ 11,29-36; ფს 68; ლკ 14,12-14

ლხინს რომ გამართავ,
გლახაკნი მოიწვიე... ლკ 14,13

ძლიერია უფლის ეს შეგონება. მას სურს, რომ ჩვენი სიყვარული მის სიყვარულს ტოლს არ უდებდეს: სრულიად უსასყიდ-ლო, უანგარო, თავისუფალი სიყვარული. ჩვენმა გულმა ამ მიწაზე უნდა დააწინა-ुროს ის სიყვარული, რითაც სამოთხე-ში ვიცხოვრებთ, როცა აღარ ვიქნებით მიჯაჭვულნი ამქვეყნიურ საგნებზე.

# 7 ნოემბერი

რიგითი XXXI კვირა [III], მწ

## 2023 სამშაბათი

რომ 12,5-16; ფს 130; ლკ 14,15-24

სულით აღენთეთ,
უფალს ემსახურეთ რომ 12,11

წმ. პავლე სულის მხურვალებაში მოგვიწოდებს. ასეთნი ვიქნებით, როდესაც „ღვთის სიტყვას ავაღზევებთ“ ჩვენს ცხოვრებაში: მაშ, აქტიურად ჩავერთოთ სამრევლოს ლოცვისა და ფორმაციულ შეხვედრებში, საკვირაო წირვებზე და, თუ შესაძლებელია, ყოველდღიურადაც, ვემსახუროთ იესოს უპოვრებში.

8 ნოემბერი
2023
რიგითი XXXI კვირა [III], მწ
საქართველოს კათოლიკე ეკლესიის
ყველა წმიდანი, (მ), თ
ოთხშაბათი

# 

რომ 13,8-10; ფს 111; ლკ 14,25-33

ვინც თავის ჯვარს არ იტვირთავს...
ჩემი მოწაფე ვერ გახდება ლკ 14,27

**იესოს მსახურებაში, ერთ ჩემს მოძმე-სთან დაპირისპირება მომივიდა: ესეც, ჯვარი. ძლივს განვიშორე ჩემი პირადი ფიქრები და იდეა... შევეცადე, მდაბლად მესმინა ჩემი მოძმის ნათქვამი და მიმე-ღო ეს როგორც იესოს ნება. მადლობა, სულო წმინდაო, ამ რჩევისათვის.**

# 9 ნოემბერი

2023

ლატერანის ბაზილიკის კურთხევა,
დ, [ს], თ

## ხუთშაბათი

ეზეკ 47,1-2.8-9.12, ან, 1კორ 3,9გ-11.16-17; ფს 45; იო 2,13-22

მამაჩემის სახლს სავაჭრო სახლად
ნუ გადააქცევთ იო 2,16

უფალო იესო, შენი სათხოვარი, დიდი მადლია: ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ შენი და ჩვენი მამის სახლში, მისი სიყვარულის, მისი სიბრძნის, მისი წყალობის მხარეები უნდა წარმოაჩინოს. მამის სახლში მდუმარებაში, მოსმენაში, თაყვანცემაში ვიმყოფებით. ჩვენი ლოცვა გამოავლენს მის არსებობას, ვინც სიყვარულია, ვისაც ჩვენთან საუბარი და ჩვენი სიყვარული ძალუძს! დღეს ჩვენ მადლობას ვწირავთ იმ ლოცვის გამო, რასაც ჩვენი პაპი შესთხოვს ღმერთს დედა ეკლესიაში.

## პარასკევი

რომ 15,14-21; ფს 97; ლკ 16,1-8

### ჩამაბარე შენი მმართველობის ანგარიში ლკ 16,2

ადამიანი არაფრის ბატონ-პატრონი არაა. ჩემი ცხოვრების ბატონ-პატრონიც კი არ ვარ: ამას ვაცნობიერებ. მსურს, რომ გავანდო მამას, როგორ დამჭირდა მისი თავი სიყვარულის, თავშეწირვის, მოყვასთათვის მშვიდობიანი გარემოს შექმნისა და მათი ურთიერთგაგების მიზნით.

# 11 ნოემბერი

2023

რიგითი XXXI კვირა [III]

წმ. მარტინ ტურსელი, ეპ., +397, (მ), თ
*(29.X) წმ. ღიხსი სეჰაპიონ ზაჰზმეღი, აბატი, +900*

## შაბათი

რომ 16,3-9.16.22-27; ფს 144; ლკ 16,9-15

არ̃ც ერთ მსახურს არ̃ შეუძლია
ორ̃ ბატონს ემსახურ̃ოს ლკ 16,13

მადლობა, იესო, რამეთუ გასაგებად საუბრობ, უკომპრომისოდ. როცა თავი-სუფალი ვარ ამქვეყნიური ანგარებიანი ზრახვებიდან, თავმომწონეობიდან და პირველობის სურვილიდან, ნამდვილად შემიძლია, სრულად მოგიძღვნა თავი საერთო სიკეთეში, შენ, ვინც შუქი, მშვი-დობა და ჭეშმარიტი ცხოვრება ხარ.

# 12 ნოემბერი 2023

**რიგითი XXXII კვირადღე, «ა», [IV], მწ**

## კვირა

სიბრძ 6,12-16; ფს 62; 1თეს 4,13-18; მთ 25,1-13

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ,
არ გიცნობთ! მთ 25,12

ამაზე უარესი სიტყვა რა შეიძლება გავიგონო, სწორედ იმისგან, ვინც ჩემს თავზე მეტად მიცნობს, ვისაც უსაზღვროდ, ნაზად, საუკუნოდ ვუყვარვარ? ხანდახან ვივიწყებ ამ სიყვარულს და მერე მისი სიყვარულის ლამპარიც ქრება. დღეს, საკვირაო დასის მეშვეობით, თითოეული მოძმის ყოფნით და მისი ლოცვითა და გალობით გავაცოცხლებ მას.

# ორშაბათი

სიბრძ 1,1-7; ფს 138; ლკ 17,1-6

## თუ მოინანიოს, მიუტევე ლკ 17,3

**რამხელა ნაბიჯს დგამს ის, ვინც პატიების სათხოვნად მოდის! ეს ძალისხმევა რომ გავიგოთ, დავფიქრდეთ, მე თავად როგორ გადავდგამდი ამ ნაბიჯს. ვინც საკუთარ ცოდვას აღიარებს, თავს დაიმდაბლებს და იესოს სახელით მოძმისგან მიტევებას ითხოვს, მას უკვე მიუტევა მამამ და თავის გულში შეიყვანა: მე რომ არ მივუტევოა, ამ გულს ჩამოვრჩები...**

# 14 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV], მწ

## 2023 სამშაბათი

სიბრძ 2,23 – 3,9; ფს 33; ლკ 17,7-10

ღმერთმა შექმნა ადამიანი...
საკუთარი ბუნების ხატად სიბრძ 2,23

მადლობა, მამაო, რამეთუ შენს ხატად
და მსგავსად შეჰქმენ კაცი და ქალი.
თუმცა, შენი ნამდვილი ხატება, სრულად
გაცხადდა იესო ნაზარეველში. გვიბო-
ძე სიბრძნე, რათა დავიცვათ ეს ხატე-
ბა, ვემსახუროთ და პატივი ვცეთ მას,
როგორც საკუთარ თავში, ასევე ჩვენს
და-ძმებში და ყველა ადამიანში.

# 15 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV], მწ

*წმ. აღბეჰტ დიდი, ეპ. და მოძ., +1280*

2023

## ოთხშაბათი

სიბრძ 6,1–11; ფს 81; ლკ 17,11–19

რადგან სიწმიდეთა სიწმიდით
შემნახველნი განიწმიდებიან სიბრძ 6,10

**რა არის წმინდა რამ შესანახი? ღვთის ყველა ნიჭი: რწმენა, იმედი, სიყვარული, სიტყვა, საიდუმლონი, ჩვენი სხეული და ჩვენი გონება. ყველაფერი წმიდად და-საცავია! უწმიდურობით და ამაოებით ვერაფერს და ვერავის დავფარავთ.**

# 16 ნოემბერი

2023

რიგითი XXXII კვირა [IV], მნ

*სნეულთა მფარველი ღმრთისმშობელი;*
*წმ. მარგარიტა შოტლანდიელი, +1093;*
*წმ. გეორგიუდა, ქაღწ., +1302*

## ხუთშაბათი

სიბრძ 7,22 8,1; ფს 118; ლკ 17,20-25

თვითონ თქვენშია ღმერთის სამეფო. ლკ 17,21

ღვთის სამეფო ის ადგილია, სადაც ღმერთის მორჩილებაში ვცხოვრობთ, იქ ადამიანები ერთურთის შეწევნაში ცხოვრობენ ვითარცა იესოს და-ძმები. ღვთის სამეფოა იქ, სადაც არის მამისაგან წარგზავნილი მეფე - ძე თვისი იესო ქრისტე. სუფევს ის ჩემში? მაშინ მე მისი სამეფო ვარ. სუფევს ჩვენ შორის? მაშინ ჩვენ მისი სამეფო ვართ.

# 17 ნოემბერი

2023

რიგითი XXXII კვირა [IV], მწ
წმ. ელისაბედ უნგრელი, მონ., +1231, (მ), თ
*(4.XI) წმ. იოანე, სტეფანე და ესაია, მონაზონნი, ქრისტეს საფლავის მოღვაწენი*

## პარასკევი

სიბრძ 13,1–9; ფს 18; ლკ 17,26–37

**წმ. ელისაბედის დების დღესასწაული**

## რადგან ქმნილებათა სიდიადისა და მშვენების კვალზე მათი შემოქმედიც შეიცნობა

სიბრძ 13,5

**დღევანდელი სიტყვა ერთ ლამაზ ლოცვას ბადებს: ფანჯრიდან ცქერისას ან სეირნობისას, ვხედავთ როგორ ურყევად დგანან მთები, როგორ ამოძრავებს ქარი ღრუბლებს, ხილით მსხმოიარე ხეებს, ვხედავთ ჩიტებს, ცაში კამარას რომ კრავენ. გაოცებულნი და მადლიერნი ვამბობთ: "მადლობა, მამაო, შენი სიმყარის, შენი წარმოსახვის, შენი სიბრძნის და შენი წესებისთვის, რომლებიც სამყაროს მართავენ და იმისთვის, თუ როგორ ზრუნავ ყველა ქმნილებაზე...".**

# 18 ნოემბერი

რიგითი XXXII კვირა [IV], მწ

*წმიდანთა პეტრე და პავლე მოციქულთა ბაზილიკათა კუთხევა*

2023

## შაბათი

სიბრძ 18,14-16;19,6-9; ფს 104; ლკ 18,1-8;

აიხედა იესომ მაღლა ლკ 19,5

იესომ შენიშნა, რომ ზაქეს მისი ნახვა სურდა. ის ხვდება მის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებას, ჩვენს სურვილს მისი შეცნობისა. როდესაც ზაქეს მსგავსად ვეძებთ და  კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ ამისკენ, იგი ჯერარნახული სიმშვიდითა და სიხარულით გვავსებს. მადლობა, იესო.

# 19 ნოემბერი 2023

**რიგითი XXXIII კვირადღე, «ა», [I], მწ**

## კვირა

იგ 31,10-13.19-20.30-31; ფს 127; 1თეს 5,1-6; მთ 25,14-30

**უპოვართა მსოფლიო დღე**

ერთს ხუთი ტალანტი მისცა მთ 25,15

**იესომ გვიბოძა ბუნებრივი თვისებები და სულიერი სიკეთენი, ჩვენი უნარების მიხედვით, და სურს მას და მის სამეფოს მოვახმაროთ ისინი. როცა დაბრუნდება, მოგვკითხავს, თუ როგორ გამოვასხით ნაყოფის მათ. თუკი ეს მისი სიყვარულის გულისთვის გავაკეთეთ, ისევე გაიღებს ჩვენთვის ჯილდოს, როგორც თავის ერ-თგულ მსახურებთან.**

# 20 ნოემბერი



## 2023 ორშაბათი

1მაკ 1,10-15.41-43.54-57.62-64; ფს 118; ლკ 18,35-43

შენმა რწმენამ გიხსნა ლკ 18,42

ახლა უკვე ბრმას თვალი აეხილა და აღარ მათხოვრობს. მისმა რწმენამ აიძულა ეყვირა იესოს სახელი, მიუხედავად იმისა, რომ სხვები საყვედურობდნენ. მისმა რწმენამ აიძულა ფეხზე წამომდგარიყო დაძახებაზე. მისმა რწმენამ გამბედაობა შემატა, რომ ეთხოვა ის, რაც აქამდე არავის უთხოვია. ამ რწმენამ მას ცხოვრების თავისუფლება და სიხარული მისცა, ახლა კი იესოსთან ერთად სიკვდილის სიხარულს უძღვნის.

# 21 ნოემბერი

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ
ნეტ. ქალწ. მარიამის ტაძრად მიყვანა (მ), თ

## 2023 სამშაბათი

2მაკ 6,18-31; ფს 3; ლკ 19,1-10

სიხარულით მიიღო იგი ლკ 19,6

ვინ არის იგი? ცოდვილი, დიდი ცოდ-
ვილი, ვისგანაც გამიჯვნას ცდილობს
ყველა. მაგრამ მას უკვე უყვარს იესო,
ამიტომაც, აღარაა ცოდვილი. ის უკვე
ჰგავს ჯვარზე მყოფ ავაზაკს, თუმცაღა
ეს არავინ იცის. მისმა ცხოვრებამ უკვე
იცვალა სახე და მისი ქცევაც შეცვლი-
ლია, ყველასთვის სანიმუშოდ.

# 22 ნოემბერი

2023

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

წმ. ცეცილია, ქალწ. და წამ., +~250, (მ), წ

## ოთხშაბათი

2მაკ 7,1.20-31; ფს 16; ლკ 19,11-28

დაადგა გზას იერუსალიმში
ასასვლელად ლკ 19:28

ყველა ლამობდა აღმართზე ასვლას. იესო თავისი გადაწყვეტილებით იძლევა მაგალითს. მხოლოდ მან იცის, რა ელის მას მაღლა, წმინდა ქალაქში. ნაბიჯს აუჩქარებს, რადგან სურს შესვას მამისგან მისთვის მომზადებული სასმისი. ეს აღმართი გალობით გაიარა რომის მოწამე ქალწულმა სესილიამ.

# 23 ნოემბერი

2023

(10.XI) წმ. გიორგი წამებული, დ, [ს], ნ

*წმ. კლემენტ I, პ. და წამ., +101; წმ. კოლუმბან, აბ. +615;*
*(10.XI) წმ. დიდმოწამე კონსტანტი-კახი, +852*

## ხუთშაბათი

1მაკ 2,15-29; ფს 49; ლკ 19,41-44

**გიორგობა.**
**უდეში „პირდაპირების“ სამლოცველოს დღეობა**

ვერ შეიცანი შენი მონახულების დამი ლკ 19,44

ცრემლით ავსებია იესოს თვალები. ცრემლად იღვრება და ეს გვაჩვენებს ჩვენს მიერ, ნებით თუ უნებლიედ იესოს უარყოფის სიმძიმეს. ტირის იესო, რა-დგან იერუსალიმის ქალაქმა უკუაგდო. ის კვლავ ატირდება, თუკი დღეს, მისი სიტყვის გათვალისწინების ნაცვლად, ჩვენ-ჩვენს ნებას გავყვებით.

# 24 ნოემბერი

2023

რიგითი XXXIII კვირა [I]

წმმ. ანდრია დუნგ-ლაკი ხუც. და მეგ., ვიეტნამელი წამებულნი, XVI-XVIIIსს. (მ), ნ

## პარასკევი

1მაკ 4,36-37.52-59; ფს: 1ნეშ 29,10-12; ლკ 19,45-48

მთელი ხალხი მოუშორებლად
უსმენდა მას ლკ 19,48

**იესოს პირიდან გამოსული სიტყვები ყველას ანდამატივით იზიდავდა. ეს სიტყვები ცოდნას მატებდნენ, მათ სიყვარულით წარმოთქვამდა მამა ღარიბებისა და მწუხარეთა მიმართ, მათდამი, ვინც ცოდვის გამო ტანჯვაშია. მეც მათ ვუერთდები, რომ ვისმინო იესოს ხმა!**

# 25 ნოემბერი

2023

რიგითი XXXIII კვირა [I], მწ

*წმ. ეკატერინე აღექსანდრიელი, ქაღწ. და წამ., +III-IV სს*

## შაბათი

1მაკ 6,1-13; ფს 9; ლკ 20,27-40

სათუკუნო ცხოვრების ღირსად შერაცხილნი... ანგელოზთა სწორნი არიან ლკ 20,36

ვინ იცის, როგორები არიან ანგელოსნი! ლამაზები, რადგან საკუთარ თავზე არ ფიქრობენ. მუდამ მგალობელნი ღვთის დიდებაზე. შემიძლია ვემსგავსო ანგელოსებს? შევეცდები მიბვაძო მათ, ვიგალობო ჩემი ცხოვრებით, სათნო საქმეებით, ხმით, მამისა და ძის მშვენიერებით.

# 26 ნოემბერი 2023

**რიგითი XXXIV კვირადღე,**
**უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი,**
**სამყაროს მეფისა, «ა», დდ, [ს], თ**

## კვირა

ეზეკ 34,11-12.15-17; ფს 22; 1კორ 15,20-26.28; მთ 25,31-46

ლიტურგიული წელიწადის ბოლო კვირა
ახალშენის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

*რადგანაც მას მართებს სუფევა* 1კორ 15,25

მართებს! დიახ, რადგან უნდა მოვიდეს ღვთის სუფევა ყოველი კაცის სრული სიცოცხლის. ვიდრე ისინი არ მეფეს არ დაემორჩილებიან, ვერ აღსრულდება მათი სიცოცხლის სილამაზე, როგორც დასაბამითვე ჩაიფიქრა ეს მამამ. მოდი, იესო: მზად ვარ შენი მორჩილი გავხდე, რათა გაბრწყინდეს შენი მეფობა და ჩვენ, ადამიანებმა, ისეთი საზოგადოება შევქმნათ, რომელიც შენს სამოთხეს ემსგავსება.

# ორშაბათი

დან 1,1-6.8-20; ფს: დან 3,52-56; ლკ 21,1-4

თავისი სიდუხჭირიდან ჩააგდო
მთელი საჩრჩო, რაც ებადა ლკ 21,4

ღარიბმა ქვრივმა, ვინც ყველასგან შეუმ-
ჩნევლად იყო, დიდი სიხარული მიგვარა
იესოს, რადგანაც მის სიღარიბეში იესომ
მისი გულის სიმდიდრე დაინახა. დღეს
სწორედ ის მაძლევს ძალას, რომ გადა-
ვდგა სიყვარულის მცირედი ნაბიჯები,
რაც ყველასთვის შეუმჩნეველი რჩება,
მაგრამ არა იესოსთვის.

# 28 ნოემბერი



## 2023 სამშაბათი

დან 2,31-45; ფს: დან 3,57-61; ლკ 21,5-11

ომებისა და შფოთის ამბებს რომ შეიტყობთ, ნუ შეძრწუნდებით ლკ 21,9

**უფალო იესო, შენ იცი, რაოდენ მყიფენი ვართ და როგორ გვაშინებს ტანჯვა. მოგენდობით შენ, ვინც სიმტკიცისა და ცოდნის სულს გვაძლევ, რათა შენი ერთგულნი ვიყოთ მუდამ, როდესაც შენს რწმენას საფრთხე შეექმნება. შენდამი სიყვარულში გავმხნევდებით, რამეთუ „სიყვარულში არ არის შიში“.**

# 29 ნოემბერი

რიგითი XXXIV კვირა [II], მწ

## 2023 ოთხშაბათი

დან 5,1-6.13-14.16-17.23-28; ფს: დან 3,62-67; ლკ 21,12-19

ეს გექნებათ თქვენ დასამოწმებლად ლკ 21,13

იესომ იცის, რომ მისი მოწაფეების დევნა უბედურებას არ მოასწავებს. თუკი მისი სახელის გულისთვის მოელით ტანჯვა ან სიკვდილი, სწორედ მაშინ გაბრწყინდება მათი მოწმეობა. პირველქრისტიანები ამბობდნენ: „მოწამეთა სისხლი ახალ ქრისტიანთა თესლია“! ამიტომაც, ბევრი მორწმუნისთვის გამხდარა მოწამეობა შთაგონების წყაროდ, რამეთუ ძლიერია უფალი იესო ქრისტეს მშვენიერებისა და სიბრძნის შეცნობის სურვილი.

# 30 ნოემბერი

2023

წმ. ანდრია, მოციქული, დ, [ს], წ

*(17.XI) წმმ. მიქაელ-გობრონი და 133 მხედარი, +914*

## ხუთშაბათი

რომ 10,9–18; ფს 18; მთ 4,18–22

ბეთლემის (ახალხიზა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

მეისვე მიატოვეს ნავიც და მამაც
და გაჰყვნენ მას მთ 4,22

ერთ-ერთი მათგანია ანდრია. იგი მაშინვე გაჰყვა უკან იესოს, მტკიცედ და თავისუფალი ნებით. ამ გზაზე იგი ყველას მოძმედ ექცა ანუ ღვთის ძედ, ვისაც ძალუძს სახარების ნათელი მოჰფინოს წარმართებს. ეს გზა მანაც ისევე აღასრულა ჯვარზე, როგორც მისმა მოძღვარმა და უფალმა.